საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 419

11 07 2017წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - მესამე კომპონენტის (სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოდულების ოპტიმიზაცია და შემუშავება) ფარგლებში პროფესიული განათლების სპეციალისტის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) შეთანხმების კოორდინატორის, თამარ სამხარაძის, 2017 წლის 20 ივნისის №689063 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2017 წლის 11 ივლისიდან 2017 წლის 17 ივლისის ჩათვლით, გამოცხადდეს კონკურსი ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის (შემდგომში - პროექტი) - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ – მესამე კომპონენტის (სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოდულების ოპტიმიზაცია და შემუშავება) ფარგლებში, შემდეგ თანამდებობაზე:

1.1. პროფესიული განათლების სპეციალისტის თანამდებობაზე, ადგილების რაოდენობა - 1;

1.2. პროფესიული განათლების სპეციალისტის თანამდებობის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება სოციალურ ან ჰუმანიტარულ მეცნირებებში ან/და ფსიგოლოგიასა ან/და განათლების მეცნიერებებში, მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) პროფესიული განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;

გ)საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების/სტანდარტების შესწავლა-ანალიზის გამოცდილება;

დ) უცხო ენის კარგად ცოდნა (ინგლისური ან გერმანული);

ე) „პროფესიული განათლების შესახებ" კანონის ცოდნა;

ვ) „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების ცოდნა;

ზ) დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) ცოდნა;

თ) განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED) ცოდნა;

ი) საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები, (2016 წელი) ცოდნა;

კ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 02 ნოემბრის №1095 ბრძანება - „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ცოდნა.

1.3. პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) ინჟინერიის სფეროს (საკვები პროდუქტების გადამუშავება) საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების მიზნით საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება კონკრეტულ კვალიფიკაციებთან დაკავშირებით;

ბ) ინჟინერიის სფეროს (საკვები პროდუქტების გადამუშავება) კომპეტენციების რუქის მომზადება;

გ) ინჟინერიის სფეროს (საკვები პროდუქტების გადამუშავება) წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზება, რეკომენდაციების წარდგენა, მიმდინარე საკითხების განხილვა-ანალიზი და პოზიციების შეჯერება;

დ) ინჟინერიის სფეროს (საკვები პროდუქტების გადამუშავება) სპეციალისტებთან ერთად, დადგენილი მეთოდოლოგიითა და წესის დაცვით, ჩარჩო დოკუმენტებისა და მოდულების ფორმირება (პროექტების მომზადება);

ე) განხილვების შედეგად გამოკვეთილი საკითხების დამუშავება და ანგარიშში ასახვა;

ვ) განხორციელებული საქმიანობის შესახებ ეტაპობრივი ანგარიშგება.

1.4. კონკურსის შედეგად პროფესიული განათლების სპეციალისტის თანამდებობაზე შერჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე. ამ ვადის განმავლობაში პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს 3 ეტაპს, პირველ ეტაპზე შრომის ანაზღაურება განისაზღვროს 2125 (ორი ათას ას ოცდახუთი) ლარის ოდენობით, მეორე ეტაპზე 2125 (ორი ათას ას ოცდახუთი) ლარის ოდენობით და მესამე ეტაპზე 2125 (ორი ათას ას ოცდახუთი) ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

2. პროფესიული განათლების სპეციალისტის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - info@eqe.ge - აუცილებლად უნდა გამოაგზავნონ:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

5. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.

3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის - www.eqe.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

4. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე